

მსოფლიოში ინსულტს მხოლოდ ასე მკურნალობენ

უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ ორ წამში ერთ ადამიანს ემართება ინსულტი, ხოლო ყოველ ხუთ წამში ამ პათოლოგიით ერთი ადამიანი კვდება.

ინსულტი, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, შრომისუუნარობის ყველაზე ხშირი მიზეზია, სიკვდილის მიზეზებს შორის კი მეორე ადგილს იკავებს.

ინსულტის დროს ძალიან მნიშვნელოვანია დროული დახმარება. დღეს მთელ მსოფლიოში მას თანამედროვე, თუმცა უკვე კარგად ნაცადი მეთოდებით მკურნალობენ, რომლებიც ქირურგიის ეროვნულ ცენტრშიც დაინერგა. წელიწადზე მეტია, რაც აქ ამოქმედდა საქართველოში ერთადერთი ინსულტის ცენტრი.

თანამედროვე მიდგომა

დღეს ინსულტიანი პაციენტები მთელ მსოფლიოში ინსულტის ცენტრებში გადაჰყავთ. აქ, სისტემურ ინტრავენურ თრომბოლიზისთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ენდოვასკულური თრომბექტომია ანგიოგრაფით. შეგიძლიათ, ყველა ეს სერვისი ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მიიღოთ.

პაციენტის ცენტრში მიყვანისთანავე ადგენენ ინსულტის ტიპსა და გენეზს. შემთხვევათა უმეტესობა (85%) იშემიურია, იშემიური ინსულტის სამკურნალოდ კი, ყველა თანამედროვე გაიდლაინის მიხედვით, ტარდება სისტემური ინტრავენური თრომბოლიზისი ან ენდოვასკულური თრომბექტომია. მეთოდს პაციენტის მდგომარეობისა და ჩვენების მიხედვით ინდივიდუალურად არჩევენ.

თრომბოლიზისი

თრომბოლიზისი თრომბის დაშლას ნიშნავს. ამ მეთოდით იშლება ტვინის სისხლძარღვში ჩაჭდილი თრომბი და სისხლის მიმოქცევა აღდგება. პროცედურისთვის იყენებენ პრეპარატ აქ-

ტილიზეს, რომელსაც ინსულტის განვითარებიდან ოთხსაათნახევრის განმავლობაში შეუძლია თრომბის დაშლა. ამ ხნის შემდეგ მისი გამოყენება აზრს კარგავს, ამიტომ აუცილებელია, პაციენტი რაც შეიძლება მალე მოხვდეს სამედიცინო დაწესებულებაში. რაც უფრო ადრე დაიწყება თრომბოლიზისი, მით უკეთესი იქნება შედეგი.

თრომბექტომია

თრომბექტომია მცირეინვაზიური ჩარევაა: ბარდაყის არტერიიდან მიდგომით კაროტიდული აუზიდან აცილებენ თრომბს, რომლითაც კონკრეტული სისხლძარღვია დახშული. ამის შემდეგ სისხლძარღვი სრულფასოვნად აღდგება.

2017 წელს მოქმედი გაიდლაინებით, ქირურგიული ინტერვენცია ინსულტიდან 6 საათში უნდა მოხდეს, მაგრამ 2018 წლის დასაწყისში, ორი დიდი საერთაშორისო კვლევის — DEFUSE-3-სა და DAWN-ის — მონაცემების საფუძველზე, დამატებითი კრიტერიუმებით შერჩეულ პაციენტებთან ეს დრო 24 საათამდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონებში მყოფ ადამიანებსაც ექნებათ დრო, ინსულტის ცენტრში შესაბამისი დახმარება მიიღონ.

უახლესი აპარატურა

ქირურგიის ეროვნულ ცენტრში უახლესი, საუკეთესო მონაცემების მქონე აპარატურა დგას. ინსულტის ცენტრში გამოკვლევები და სამკურნალო პროცედურები SHIMADZU-ს ორმკვლავიანი ანგიოგრაფით — თრინიას B12-ით ტარდება. ეს აპარატი ერთადერთია რეგიონში და უნიკალური ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

ძალზე დახვეწილია თრომბექტომიის შესასრულებელი Penumbra-ს სისტემა, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანად მიიჩნევა. სხვებზე სამ-ოთხჯერ ძვირია, მაგრამ შედეგიც გაცილებით უკეთესი აქვს.



ინსულტის ცენტრის ექიმები: ზურაბ ახალაია, ნეპროლოგი; გიორგი აბუტიძე, ინტერვენციური ნეიროქირურგი


ბასსოვლეთი

თუ ადამიანს მწვავედ გამოუვლინდა შემდეგი სიმპტომები:


- ▶ სახის ასიმეტრია;
 - ▶ მეტყველების გაძნელება ან მხედველობის დაბინძვვა;
 - ▶ ხელის ან ფეხის სისუსტე ან დაბუყება, —
- დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ

ინსულტის ცენტრში, სადაც მას თანამედროვე მეთოდით უმკურნალებენ და ამით სიცოცხლესა და შრომის უნარს შეუნარჩუნებენ.

საქართველოში ინსულტს სრულყოფილად და თანამედროვედ მხოლოდ ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მკურნალობენ.



თრომბექტომიამდე



თრომბექტომიის შემდეგ